

RIGHT TO SELF-DETERMINATION, TERRITORIAL INTEGRITY AND SOME ASPECTS OF UNILATERAL SECESSION IN MODERN INTERNATIONAL LAW

Davit Kurtanidze

*PhD student at the Faculty of law at Ivane Javakhishvili
Tbilisi State University,
Judge of Tbilisi City Court*

Email: kurtanidzedato@gmail.com

დავით კურთანიძე

ABSTRACT

The article discusses the right of people to self-determination, its relation to the principle of territorial integrity of the state, the question of their relationship, also the ways of achieving balance between them. The right to self-determination is discussed within the UN Charter and other international instruments, also discussing the process of evolution of it. The article addresses the question whether contemporary International Law of self-determination provides for unilateral secession. This is a complex legal issue and some aspects of which are analysed in article. The case of Kosovo is compared to the context of Georgia, and, analyzing the unique case of Kosovo, it is argued that in practice the existence of the right and the contours of its use are outlined, still there exists an obvious lack of clarity in this regard, and the need for adequate regulation is emphasized.

KEYWORDS: Sovereignty, People, Minority

შესავალი

ერთა თვითგამორკვევაზე საუბარი მე-18 საუკუნიდან იწყება დასავლეთ ევროპაში ეროვნული მოძრაობების გაძლიერების კვალდაკვალ. შემდეგ ეს პრინციპი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში აისახა და თანდათან მრავალი საერთაშორისო აქტით განმტკიცდა.

დეკოლონიზაციიდან მოყოლებული და თანამედროვე პირობებშიც თვითგამორკვევის საკითხი მეტად აქტუალურია და ერთ-ერთი რთული საკითხია.

თვითგამორკვევის მარეგულირებელ და სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებისაკენ მიმართულ სხვა საერთაშორისო ნორმებს შორის ბალანსის დადგენა, მათი შეთანაწყობა სადავო საკითხად რჩება.

ცივი ომის დასრულების შედეგად საერთაშორისო ურთიერთობებში ახალ ფორმატზე გადასვლის აუცილებელი წინაპირობები შეიქმნა.

სეცესია გახდა სახელმწიფოების კონსტიტუციებითა და კონსტიტუციური დებულებების საფუძველზე გამოცემული კანონმდებლობის რეგულირების ობიექტი. სეცესიის პრობლემა მეცნიერთა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განსახილველი თემაც კი გახდა.

ცალმხრივი სეცესია ხშირად კონფლიქტების წარმოშობა-გამწვავებისა და ძალადობის გავრცელების მიზეზი ხდება და საფრთხეს უქმნის არსებულ საერთაშორისო წესრიგს. ამ კონტექსტში დაძაბულობის განეიტრალებისა და კონფლიქტების ჩაცხრომისათვის ერთა თვითგამორკვევის ზუსტი საერთაშორისო ნორმების არსებობა მეტად მნიშვნელოვანია.

ერთა თვითგამორკვევის უფლების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლის ნორმების არასაკმარისი სიცხადის გამო არსებობს ცალმხრივი სეცესიის როგორც მხარდამჭერი, ისე საწინააღმდე-

გო მოსაზრებები. სეცესია სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის ფუნდამენტური პრინციპის კონტექსტში დიდი გამოწვევაა.

ერთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია სეცესიის ფორმით უმთავრესად განიხილებოდა დეკოლონიზაციის კონტექსტში, ხოლო სხვა შემთხვევებში თვითგამორკვევის უფლება შეიზღუდა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის კონტექსტში და, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, მისი რეალიზება უნდა მოხდეს არსებული სახელმწიფოს შიგნით, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაურღვევლად შიდა თვითგამორკვევის ფორმით. მხოლოდ გამონაკლისის სახით, უკიდურეს შემთხვევებში არის შესაძლებელი საუბარი გარე თვითგამორკვევის უფლების რეალიზებაზე არსებული სახელმწიფოსაგან გამოყოფით ახალი სახელმწიფოს შესაქმნელად, ანდა სხვა სახელმწიფოსთან მისაერთებლად ცალმხრივი სეცესიის ფორმით – რემედიული სეცესიის ტიპით.

რემედიული სეცესიის უფლების საერთაშორისო სამართლის ჩვეულებით ნორმად ჩამოყალიბების პროცესი არ დასრულებულა, არ მიუღია სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი უმრავლესობის თანხმობა იმისათვის, რომ სახელმწიფოთათვის სავალდებულო ძალის მქონედ იქნეს განხილული. სახელმწიფოთა პრაქტიკასა და არსებულ დოქტრინებში არ არსებობს კონსენსუსი თავად რემედიული სეცესიის უფლებასთან, მისი რეალიზების უფლებამოსილ სუბიექტებსა და პირობებთან დაკავშირებით.

სწორედ ამ საკითხებზე კონსენსუსის არარსებობის გამო ძლიერია რემედიული სეცესიის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი ცნობის აღიარების საკითხთან დაკავშირება მესამე სახელმწიფოებისაგან, რაც იწვევს არაღიარებული სახელმწიფოების

წარმოქმნას ამგვარი de facto სეცესიის შედეგად, რაც აბრკოლებს გამოწვეულ კონფლიქტებთან გამკლავებას.

წინამდებარე სტატიის მიზანია, განიხილოს თვითგამორკვევის უფლების ევოლუცია, ამ უფლების ფარგლები და გავლენა ტერიტორიულ მთლიანობაზე, მათი ურთიერთმიმართება. განხილულია თვითგამორკვევის უფლება და ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც იძლევა პასუხს შეკითხვაზე – შესაძლებელია, იყოს თუ არა საერთაშორისო სამართალში ცალმხრივი სეცესიის ლეგიტიმაციის ან აკრძალვის სამართლებრივი საფუძველი? გაანალიზებულია კოსოვოს პრეცედენტი, რომელიც შედარებულია საქართველოს შემთხვევასთან აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ კონტექსტში და გაანალიზებულია აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ცალმხრივი სეცესიის უფლების არსებობის საკითხი. წარმოჩენილია ის ბუნდოვანება და პრობლემატიკა, რომელიც არსებობს საერთაშორისო სამართალში რემედიული სეცესიის უფლების არსებობის აღიარების კონტექსტში. ამასთან, გამოკვეთილია, რომ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია უნდა მოხდეს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის სრული დაცვით, რადგან ამ პრინციპის ხელყოფა დაშვებული არ არის საერთაშორისო სამართლით და საერთაშორისო სამართლის ნორმების გაანალიზებით სტატიამი წარმოჩენილია აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ შემთხვევაში სეცესიის იმთავითვე შეუსაბამობა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან.

ცალმხრივი სეცესია – მიმოხილვა

საერთაშორისო სამართლის კონტექსტში სეცესია ნიშნავს არსებული სახელმწიფოსაგან ტერიტორიის (კოლონიური ან არაკოლონიური) გამოყოფას ახალი სახელმწიფოს შექმნის მიზნით.¹

სეცესია შესაძლოა მოხდეს ორმხრივი თანხმობით ან ცალმხრივად. ცალმხრივი სეცესია ხდება სწორედ არსებული სახელმწიფოს თანხმობის გარეშე და შესაძლოა, იგი მოიცავდეს ძალის გამოყენებას ან ამგვარ მუქარას. იგი ჩვეულებრივ ხდება შესაბამისი კონსტიტუციური დებულებების დარღვევით და პოლიტიკური მოლაპარაკებების გარეშე.²

ცალმხრივი სეცესიის დროს არსებული სახელმწიფოს პრეტენზია გამოყოფილ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის ქონასთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება გამოყოფილი სახელმწიფოს სუვერენიტეტს. ეს ჩიხური ვითარება კი განაპირობებს საერთაშორისო სამართლის საზედამხედველო იურისდიქციის ამოქმედებას, რომელიც ცდილობს დავის მოსაგვარებლად სამართლებრივი პრინციპების გამოყენებას. ამ პრინციპთაგან კი უმთავრესი არის თვითგამორკვევის საერთაშორისო სამართალი.³

ხალხის თვითგამორკვევის უფლების ევოლუცია, ტიპები, შინაარსი და ფარგლები

როგორც აღინიშნა, ერების თვითგამორკვევის უფლებაზე ჯერ კიდევ მე-18

1 Anderson, G., 2013. Secession in International Law and Relations: What are we talking about? 35 LOY. L.A. INT'L & COMP. L. REV. 343, გვ. 344. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://digitalcommons.lmu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1694&context=ilr>> [წვდომის თარიღი 17 ნოემბერი 2023].

2 იქვე. გვ. 353.

3 იქვე. გვ. 354.

საუკუნეში საუბრობდნენ და ეს მოვლენა ევროპაში ეროვნული მოძრაობების კვალდაკვალ ყალიბდებოდა და მკვიდრდებოდა. მე-20 საუკუნეში კი ამ პრინციპმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კოლონიალიზმის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების დროს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) წესდების პირველივე მუხლში ხალხის თვითგამორკვევის პრინციპზე მიეთითა, როგორც გაეროს ერთ-ერთ უმთავრეს მიზანზე.⁴ გაეროს წესდების პირველი მუხლის მე-2 პარაგრაფი და 55-ე მუხლი უთითებს თვითგამორკვევაზე და უდავოა, რომ წესდებაში ამგვარი მითითება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, მაგრამ თვითგამორკვევის ლეგალური სტატუსი და შინაარსი ცხადი არ გამხდარა.⁵

ხალხის თვითგამორკვევის უფლება განმტკიცებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის 1960 წლის N1514 (XV) რეზოლუციით.⁶ თვითგამორკვევა, როგორც უფლება, გარკვევით და თვალსაჩინოდ პირველად სწორედ ამ რეზოლუციით წარმოჩნდა. ამ დროიდან თვითგამორკვე-

ვის უფლება გარე თვითგამორკვევის ფორმითაც გამოიკვეთა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტად იქცა. დეკოლონიზაციის კონტექსტში სამეურნეო და არათვითმმართველი ტერიტორიების მაცხოვრებელი ხალხისათვის განმტკიცდა ცალმხრივი სეცესიის ფორმით თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია.⁷

ხალხის თვითგამორკვევის უფლების ასახვა აგრეთვე მოხდა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების⁸ და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების 1966 წლის საერთაშორისო პაქტებში.⁹ აღნიშნული პაქტები ძალაშია, როგორც ხელშეკრულებები: 1976 წლის 3 იანვრიდან და 1976 წლის 23 მარტიდან, შესაბამისად, ორივე პაქტის 1-ლი მუხლის 1-ლი პარაგრაფი თვითგამორკვევას „ყველა ხალხის“ უფლებად აცხადებს. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფალი ნებით განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

4 Art. 1(2), Charter of the United Nations. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://treaties.un.org/doc/publication/ctc/uncharter.pdf>> [წვდომის თარიღი 17 ნოემბერი 2023].

5 Driest, S. F., 2015. Crimea's Separation from Ukraine: An Analysis of the Right to Self Determination and (Remedial) Secession in International Law, NETH. IIT. Law REV 62, გვ. 335-336. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.researchgate.net/publication/285386005_Crimea%27s_Separation_from_Ukraine_An_Analysis_of_the_Right_to_Self-Determination_and_Remedial_Secession_in_International_Law> [წვდომის თარიღი 17 ნოემბერი 2023].

6 Preamble and para 2, Declaration of the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://documents-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/152/88/PDF/NR015288.pdf?OpenElement>> [წვდომის თარიღი 17 ნოემბერი 2023].

7 იქვე. პარაგრაფი 5.

8 Art. 1(1), International Covenant on Economic, Social and Cultural Rights. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_2200A\(XXI\)_economic.pdf](https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_2200A(XXI)_economic.pdf)> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

9 Art. 1(1), International Covenant on Civil and Political Rights. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_2200A\(XXI\)_civil.pdf](https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_2200A(XXI)_civil.pdf)> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის პრინციპების (მეგობრული ურთიერთობების დეკლარაცია) გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის N2625 რეზოლუცია შემდეგი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც თვითგამორკვევის უფლებას უსვამს ხაზს და აღინიშნა, რომ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის მოდალობები შესაძლოა, მოიცავდეს სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, თავისუფალ გაერთიანებას ან ინტეგრაციას დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, ან სხვა პოლიტიკური სტატუსის წარმოქმნას ხალხის ნების შესაბამისად. დეკლარაცია უთითებს, რომ თვითგამორკვევის უფლება საგარეო დომინაციისაგან თავისუფლების უფლებასაც გულისხმობს.¹⁰

დეკლარაციის კონტექსტის მიღმა თვითგამორკვევის უფლების განმტკიცებას ახდენს აგრეთვე „რბილი სამართლის“ კიდევ სხვა, ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: გაეროს ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით დეკლარაცია,^{*} ჰელსინკის 1975 წლის ფინალური აქტი,^{**} პარიზის 1990 წლის ქარტია,^{***} ვენის 1993 წლის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა.^{****}

ხალხის თვითგამორკვევის უფლების ევოლუციის კვალდაკვალ ცხადი გახდა,

რომ თვითგამორკვევის უფლება გასცდა დეკლარაციის კონტექსტს. თვითგამორკვევა ვლინდება ორი ფორმით, აქვს ორი განზომილება: შიდა და გარე. თვითგამორკვევა შიდა ფორმით უკავშირდება თვითგამორკვევის უფლების არსებული სახელმწიფოს ფარგლებში რეალიზებას, ხოლო გარე ფორმა უკავშირდება ხალხის უფლებას, განსაზღვროს თავიანთი პოლიტიკური სტატუსი და ადგილი საერთაშორისო თანამეგობრობაში. რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის გაეროს კომიტეტის 1996 წლის N21 რეკომენდაციაში შიდა თვითგამორკვევას განმარტავს, როგორც ყველა ხალხის უფლებას, განსაზღვროს თავიანთი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება ყოველგვარი გარე ჩარევის გარეშე. მოქალაქეებმა მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო, საზოგადოებრივ საქმეთა წარმართვაში ნებისმიერ დონეზე. თვითგამორკვევის გარე ასპექტი, გარე თვითგამორკვევა გულისხმობს ყველა ხალხის უფლებას, თავისუფლად განსაზღვროს თავიანთი პოლიტიკური სტატუსი და ადგილი საერთაშორისო საზოგადოებაში თანაბარი უფლებების პრინციპზე დაფუძნებით და გამომხატონ საკუთარი ნება, დაკავშირებული ხალხის კოლონიალიზმისგან გათავისუფლებით და სხვა სახელმწიფოთაგან დაქვემდებარება-

10 Principle VII, para 2, Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Co-operation among States in accordance with Charter of the United States. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://treaties.un.org/doc/source/docs/RES_2625-Eng.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

* ib. Art. 1, Declaration on the Occasion of the Fiftieth Anniversary of the United Nations. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N95/256/58/PDF/N9525658.pdf?OpenElement>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

** ib. Principle VII, Conference on Security and Co-operation in Europe Final Act (Helsinki Declaration). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.osce.org/files/f/documents/5/c/39501.pdf>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

*** ib. Para 7, Charter of Paris for a New Europe. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.osce.org/files/f/documents/0/6/39516.pdf>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

**** ib. Part I, para 2, Vienna Declaration and Programme of Action. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/vienna-declaration-and-programme-action>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

რების, ბატონობისა და ექსპლუატაციის აკრძალვით.¹¹

პირველი, შიდა თვითგამორკვევის შემთხვევა, საშინაო შემთხვევად მიიჩნევა, არ გულისხმობს ხალხის მიერ ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და არ წამოიჭრება ახალი სახელმწიფოს საერთაშორისოსამართლებრივი ცნობის საკითხი, ხოლო მეორე, გარე თვითგამორკვევის შემთხვევაში, რომელიც ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოშობასა და ამ უფლების რეალიზატორი ხალხის საერთაშორისო ასპარეზზე ახალი პოლიტიკური სტატუსით გამოჩენას უკავშირდება, წამოიჭრება ახალი სუბიექტის მესამე სახელმწიფოთა მხრიდან აღიარების საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ თვითგამორკვევა პრინციპიდან უფლებად ჩამოყალიბდა და აისახა სხვადასხვა, ხსენებულ საერთაშორისო აქტებში, თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია ყოველთვის რთული საკითხი იყო, რამეთუ საჭიროებს სიფრთხილეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და სახელმწიფოთა ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ბალანსის კუთხით. ამასთან, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების 1966 წლის საერთაშორისო პაქტებში ასახვისა და სხვა, ზემოხსენებულ საერთაშორისო აქტებში თვითგამორკვევის უფლების განმტკიცების მიუხედავად, საერთაშორისო სამართალში „ხალხის“ ცნების ერთიანი და ზუსტი განმარტება არ არსებობს. გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც საქმე ყოფილ კოლონიებს უკავშირდება, კო-

ნკრეტული ჯგუფის ხალხად მიჩნევა არ უკავშირდება გამოწვევებს, მაგრამ სხვა შემთხვევებში ეს საკითხი ხშირად დავას იწვევს. უფლების რეალიზებისას წამოიჭრება ხალხის, ერის, ეთნიკური, ეროვნული უმცირესობების, ძირძველი მოსახლეობის საკითხები, არსებობს სხვადასხვა დოქტრინები და თვითგამორკვევის უფლების მქონე სუბიექტებზე დავა დღემდე მიმდინარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ უმნიშვნელოვანესია თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციისას ხალხის მიერ გამოხატული ნება იყოს ცალსახა და ასახავდეს კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები არა მცირე ჯგუფის ანდა ჯგუფების, არამედ ყველა ხალხის ნებას და გამოხატული იყოს საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული წესებისა და პრინციპების სრული დაცვით.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების 1966 წლის საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი, მიუხედავად უმცირესობების ძლიერი დაცვის გარანტიების შექმნისა, არ ქმნის მათთვის გარე თვითგამორკვევის საფუძველს.¹² ხსენებული მუხლი მიემართება ინდივიდებს და არა კოლექტივს, ერთობას. განმტკიცებული უფლებები მიეკუთვნება არა ეროვნულ უმცირესობებს, არამედ ინდივიდუალურია და მიემართება მათ ცალკეულ წარმომადგენლებს. არაა ჯგუფური უფლებები, რომლებიც კოლექტიურ საგანს მიემართებოდა. უმცირესობების უფლებები ადამიანის უფლებათა კატეგორიაა და ამ უფლებებით ინდივიდუალურად უმცირესობას მიეკუთვნებული ინდივიდები სარგებლობენ. სამოქალაქო უფლებების პაქტის

11 CERD General Recommendation No. 21: Right to self-determination: Gen. Rec. No. 21. (General Comments). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.uit.no/studier/emner/jus/humanrights/HUMR5508/v12/undervisningsmateriale/General%20Recommendation%20No21-self-determination.pdf>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

12 Demissie, D., 1996. Self-Determination including Secession vs. the Territorial Integrity of Nation States: A Prima Facie Case for Secession. 20 SUFFOLK TRANSNAT'L L. REV. 165, გვ. 168-169.

27-ე მუხლში უფლებები ინდივიდუალურ უფლებებადაა ჩამოყალიბებული, როგორც წევრების უფლებები და არა როგორც კოლექტიური ჯგუფის უფლებები.¹³

მკვიდრი (ძირძველი) ხალხის უფლებების გაეროს 2007 წლის დეკლარაცია ცხადად აღიარებს ძირძველი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას. ამ უფლების არსი გადმოცემულია ამ დეკლარაციის მე-3, მე-4 და 46(1)-ე მუხლებში.¹⁴ ამ მხრივ ის პირდაპირი ფორმა, რომლითაც ეს დეკლარაცია აღიარებს ძირძველი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, უპრეცედენტოა. დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრები უმცირესობების თვითგამორკვევის უფლებას გაეროს მიერ მანამდე მიღებული რომელიმე სხვა დეკლარაცია არ აღიარებს.¹⁵ ამ დეკლარაციის მე-3, მე-4 და 46(1)-ე მუხლების დებულებები ადასტურებს ძირძველი ხალხის შინა თვითგამორკვევის უფლებას, რომელიც მოიცავს ავტონომიის უფლებას სახელმწიფოს შემადგენლობაში.¹⁶

ცალკე საკითხია თვითგამორკვევის უფლების რეალიზების ლეგალური ფორმები. საერთაშორისო საზოგადოებაში არ არსებობს სრულად ერთგვაროვანი დამოკიდებულება იმ საკითხზე, როგორ უნდა მოხდეს თვითგამორკვევის უფლების ლეგალური რეალიზაცია. ხალხის თვითგამორკვევის უფლების რეალიზები-

სას ყველაზე ლეგალური გზა რეფერენდუმი. გაეროს გენერალური ასამბლეის 1960 წლის N1514 (XV) რეზოლუციის თანახმად, თვითგამორკვევა უნდა დაეფუძნოს კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის გაცნობიერებულ და თავისუფალ ნებას, ინფორმირებული და დემოკრატიული პროცესის პირობებში მიუკერძოებლად ჩატარებული საყოველთაო კენჭისყრის შედეგებს (პრინციპი IX).¹⁷

გაეროს გენერალური ასამბლეის 1960 წლის N1514 (XV) რეზოლუციის შესაბამისად ხალხის თვითგამორკვევის დროს ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ხალხის თავისუფალი და ნამდვილი ნების გამოხატვის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომაც დეკოლონიზაციის კონტექსტში დასავლეთ საჰარის საქმეზე გაცემულ საკონსულტაციო დასკვნაში.¹⁸

გაეროს 1960 წლის დეკლარაცია თვითგამორკვევის უფლების აღიარებასთან ერთად ხაზს უსვამს სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. გაეროს 1970 წლის მეგობრული ურთიერთობების დეკლარაციაც უთითებს, რომ მეგობრული ურთიერთობების დეკლარაციაში არაფერი უნდა იქნეს გაგებული სუვერენული და დამოუკიდებელი, ყველას თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპის მიხედვით მოქმედი სახელ-

13 Higgins, R., 1994. Problems and Process: International Law and How AND How We Use It. Oxford University Press, გვ. 117.

14 Art. 3, 4, 46(1), United Nations Declaration on the Rights of Indigenous Peoples. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <www.un.org/esa/socdev/unpfi/documents/DRIPS_en.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

15 Senaratne, K., 2021. Internal Self-determination and Minority Groups. Cambridge University Press. გვ. 110.

16 იქვე. გვ. 111.

17 Principle IX, Declaration of the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://documents-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/152/88/PDF/NR015288.pdf?OpenElement>> [წვდომის თარიღი 17 ნოემბერი 2023].

18 ICJ Western Sahara Advisory Opinion, 16/10/1975, General List No. 61. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.icj-cij.org/files/case-related/61/061-19751016-ADV-01-00-EN.pdf>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

მწიფობის, რომელთა მთავრობებიც ყოველგვარი განსხვავების გარეშე წარმოადგენენ ტერიტორიის ყველა ხალხს, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური ერთიანობის საზიანოდ.¹⁹

ასეთივე ე. წ. „დაცვითი დათქმა“ მეორდება ვენის დეკლარაციასა და სამოქმედო პროგრამაში.²⁰

დეკლარაციის კონტექსტის მიღმა თვითგამორკვევა ყოველთვის ცხარე კამათს იწვევდა და ცალმხრივი სეცესია ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დარღვევად მიიჩნეოდა, აღნიშნული „დაცვითი დათქმებიდან“ გამომდინარე.²¹ *Uti possidetis juris* პრინციპის განვითარებაც, რომელიც მიმართულია დეკლარაციის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფოების მიერ მიღებული, ძველი საზღვრების ხელშეუვალობის კონტექსტში საერთაშორისო სტაბილურობის მიზნების მიღწევისაკენ, არ ახალისებდა სეცესიონისტურ მოძრაობებს. ამ პრინციპის აღიარება მოხდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერაც.²² თუკი ყველა ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ჯგუფი მოითხოვს სახელმწიფოებრიობას, ფრაგმენტაცია უსაზღვრო განდება

და მშვიდობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა კი – ყველასათვის კიდევ უფრო რთული მისაღწევი.²³

თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებით საერთაშორისო და სახელმწიფოთა შინასახელმწიფოებრივი პრაქტიკა სახელმწიფოს ტერიტორიულ ინტერესებსა და ხალხის უფლებებს შორის ბალანსის მიღწევაზე ორიენტირდა.

საგულისხმოა კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება კვებეკის საქმეზე, რომელმაც თვითგამორკვევის უფლების ახალი, ღირებული სამართლებრივი განსაზღვრება წარმოადგინა. სასამართლომ განასხვავა თვითგამორკვევის შიდა და გარე ასპექტები, მხარეები და ის უფლებები, რომლებიც თითოეულ მხარეს უკავშირდება. სასამართლომ დაადგინა, რომ ხალხის თვითგამორკვევის უფლება რეალიზდება შიდა თვითგამორკვევის უფლების ფორმით და დამატებით აღინიშნა, რომ თვითგამორკვევის უფლება აგრეთვე გულისხმობს ქვეყნიდან გამოყოფის, სეცესიის ასპექტსაც, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ, ადამიანის უფლებების სასტიკი და მასობრივი ხა-

19 Principle 5, para 10, Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Co-operation among States in accordance with Charter of the United States. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://treaties.un.org/doc/source/docs/A_RES_2625-Eng.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

20 Part I, para 2. Vienna Declaration and Programme of Action. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/vienna-declaration-and-programme-action>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

21 Driest, S. F., 2015. Crimea's Separation from Ukraine: An Analysis of the Right to Self-Determination and (Remedial) Secession in International Law. NETH. IIT. Law REV 62, გვ. 338. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.researchgate.net/publication/285386005_Crimea%27s_Separation_from_Ukraine_An_Analysis_of_the_Right_to_Self-Determination_and_Remedial_Secession_in_International_Law> [წვდომის თარიღი 17 ნოემბერი 2023].

22 ICJ Frontier Dispute (Burkina Faso/Republic of Mali), 22/12/1986, General List No. 69. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.icj-cij.org/sites/default/files/case-related/69/069-19861222-JUD-01-00-EN.pdf>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

23 An Agenda for Peace, UN Doc. A/47/277 [5]. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://digitallibrary.un.org/record/144858?ln=en>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

რისხის დარღვევის შემთხვევაში.²⁴

კანადის უზენაესი სასამართლოს აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ რემედული სეცესიის მხარდამჭერი მოსაზრების დამატებითი განვითარების საფუძველი შექმნა.

საგულისხმოა, რომ გამოყოფის მოთხოვნები და ხალხთა თვითგამორკვევა საკმაოდ ხშირად ხდებოდა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, მათი დაშლისა და სამოქალაქო ომების მიზეზი. თანამედროვე ცივილიზაციის ისტორია სახელმწიფოების წარმოქმნის, განვითარებისა და სრული ან ნაწილობრივი დაშლის განუწყვეტელი პროცესია. სეპარატიზმის კრები ყველგან გვხვდება. მას არა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნები, არამედ ძლიერი სახელმწიფოებიც მწვავედ განიცდიან. საკმარისია გავიხსენოთ იგივე ბასკეთი და კატალონია ესპანეთში, პადანია იტალიაში, კვებეკი კანადაში, ტიბეტელები ჩინეთში და მათი მოთხოვნები. რეგიონალურ თუ მსოფლიო პოლიტიკაზე გავლენის მქონე სეპარატისტულ მოძრაობათა რიცხვი ასაც კი აღწევს. კანადის სასამართლოს გადაწყვეტილებამ კი ამ საკითხს ახალი განზომილება შესძინა და რემედულ სეცესიაზე მსჯელობა ახალ ეტაპზე გადაიყვანა.

ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი

ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური და მტკიცედ დამკვიდრებული პრინციპია, რომელიც განმტკიცებულია გაეროს წესდების მე-2 მუხლით.²⁵ ამ მუხლით აკრძალულია წევრი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ძალის გამოყენება ან ასეთი მუქარა. აღიარებულია, რომ გაეროს წესდების მე-2(4) მუხლი მიემართება მხოლოდ სახელმწიფოებს,²⁶ მოქმედებს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში და არ მიემართება ხალხს.²⁷ კოსოვოს საქმეზე საკონსულტაციო დასკვნაში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მიუთითა, რომ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების სფეროთი შემოიფარგლება.²⁸ გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესს, რომელიც მოქმედებს მხოლოდ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, სამართლებრივი გავლენა ვერ ექნება სეცესიის საკითხებზე.²⁹ მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია ხსენებული „დაცვითი დათქმა“, რომელიც ძალის გამოყენებისა თუ ამგვარი გამოყენების მუქარის შემთხვევებისგან განსხვავებულ სხვა შემთხვევაშიც განამტკიცებს

24 Canada Supreme Court Judgment, Reference re Secession of Quebec, 20/08/1998, Case no 25506. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://scc-csc.lexum.com/scc-csc/scc-csc/en/item/1643/index.do>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

25 Art. 2, Charter of the United Nations. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://treaties.un.org/doc/publication/ctc/uncharter.pdf>> [წვდომის თარიღი 17 ნოემბერი 2023].

26 Dinstein, Y., 2005. War Aggression and Self-defence. Cambridge University Press, გვ. 104.

27 Anderson, G., 2013. Unilateral Non-Colonial Secession and the Use of Force: Effect on Claims to Statehood in International Law. 28 CONN. J. INT'L L. 197, გვ. 208.

28 ICJ Advisory Opinion, Accordance with International Law of the Unilateral Declaration of Independence by the Provisional Institutions of Self-Government of Kosovo, 22/07/2010, General List No. 141, პ. 80. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.icj-cij.org/public/files/case-related/141/141-20100722-ADV-01-00-EN.pdf>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

29 Anderson, G., 2013. Unilateral Non-Colonial Secession and the Use of Force: Effect on Claims to Statehood in International Law. 28 CONN. J. INT'L L. 197, გვ. 202.

ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს და ამგვარად მიემართება თვითგამორკვევის უფლების მქონე სუბიექტებს. ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს აქვს შიდა განზომილება და რელევანტურია გარე თვითგამორკვევის სეცესიის ფორმით რელიზაციის კონტექსტში.³⁰ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის შინაგან-სახელმწიფოებრივი ასპექტის წარმოჩენით ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს განმარტავენ საერთაშორისო სამართალში ცალმხრივი სეცესიის ამკრძალავად.³¹

რემედიული სეცესია საერთაშორისო სამართალში

რემედიული სეცესიის, როგორც უკანასკნელი საშუალების (ultimum remedium), აქტიური განხილვა 1990-იან წლებში დაიწყო, რადგან ეთნიკური კონფლიქტების ზრდამ მრავალი დაარწმუნა შიდა თვითგამორკვევის უფლებადარღვეული ხალხის გარე თვითგამორკვევის უფლებით აღჭურვის საჭიროებაში.³²

ალანდის კუნძულების საქმეში კომი-

სიის მომხსენებლების მიერ ითქვა, რომ უმცირესობების სახელმწიფოსაგან გამოყოფა მხოლოდ უკანასკნელ საშუალებად უნდა ჩათვლილიყო, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან ნების არარსებობის თუ უუნარობის გამო სამართლიანი და ეფექტიანი გარანტიების მიღება და გამოყენება ვერ მოხდებოდა.³³

მეცნიერთა მიერ დაწყებული იქნა ამ განაცხადის ინტერპრეტირება და გარე თვითგამორკვევის დასაბუთებისათვის გამოყენება. გაეროს 1970 წლის მეგობრული ურთიერთობების დეკლარაციის (პრინციპი 5, პარაგრაფი 10) „დაცვითი დათქმისა“ და სხვა ანალოგიური დათქმების a contrario განმარტება, რომელიც გულისხმობს იმას, რომ რომელი სახელმწიფოც არ სცემს პატივს და არ უზრუნველყოფს თავისი მოსახლეობის შიდა თვითგამორკვევის უფლებას, კარგავს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის უფლებას³⁴ და გზას უთმობს ცალმხრივ სეცესიას, როგორც ამ სერიოზული უსამართლობიდან ერთადერთ გამოსავალს.³⁵

ხსენებული კონცეფცია აისახა კვებულის საქმეზე კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელმაც

- 30 Driest, S. F., 2015. Crimea's Separation from Ukraine: An Analysis of the Right to Self Determination and (Remedial) Secession in International Law. NETH. IIT. Law REV 62, გვ. 354. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.researchgate.net/publication/285386005_Crimea%27s_Separation_from_Ukraine_An_Analysis_of_the_Right_to_Self-Determination_and_Remedial_Secession_in_International_Law> [წვდომის თარიღი 17 ნოემბერი 2023].
- 31 Orakhelashvili, A., 2008. Statehood, recognition and the United Nations system: a unilateral declaration of independence in Kosovo. 12 MAX PLANCK YB UN LAW1, გვ. 15. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.mpil.de/files/pdf2/mpunyb_01_orakhel_12.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].
- 32 Meester, D. H., 2010. The International Court of Justice's Kosovo Case: Assessing the Current State of International Legal Opinion on Remedial Secession, 48 Can YB Int'l L 215, გვ. 4.
- 33 The Question of the Aaland Islands: Report of the Commission of Jurists, 1920. League of Nations Official Journal Spec Supp 3, გვ. 27. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.ilsa.org/jessup/jessup10/basicmats/aaland1.pdf>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].
- 34 Buchheit, LC., 1978. Secession: the legitimacy of self-determination. Yale:Yale University Press, გვ. 221-222.
- 35 Cassese, A., 1995. Self-determination of peoples. A legal reappraisal. Cambridge University Press, გვ. 118.

ყურადღება მიაქცია ამ კონცეფციას და სასამართლომ დაადგინა, რომ „როდესაც ხალხს ეკრძალება შიდა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია, მას უფლება აქვს, უკიდურეს შემთხვევაში, მოახდინოს მისი რეალიზება სეცესიის გზით.³⁶

აღნიშნული კონცეფცია გაზიარებული იქნა კოსოვოს საქმეზე მოსამართლე იუსუფის მიერ, რომლის განსხვავებულ მოსაზრებაში განსაკუთრებულ შემთხვევაში ხალხის თვითგამორკვევის უფლებამ შესაძლოა, გაამართლოს ცალკე სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნა.³⁷ საქმეში „ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოსამართლეებმა უილდჰაბერმა და რაისდალმა სასამართლოს თანმხვედრ აზრში აღნიშნეს, რომ სეცესიის გზით თვითგამორკვევის უფლება ხელმისაწვდომი იქნებოდა იქ, სადაც ხალხის უფლებები განუწყვეტლივ და უხეშად ირღვევა, ან თუ ისინი საერთოდ წარმომადგენლობის გარეშე არიან, ან მასობრივად აშკარად არასათანადოს არიან წარმოდგენილნი არადემოკრატიული და დისკრიმინაციული ფორმებით.³⁸ კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საერთაშორისო ცნობისას, როგორც ჩანს, სახელმწიფოები რემედიული სეცესიის ხსენებულ კრიტერიუმებს ითვალისწინებდნენ. კოსოვოს შემთხვევა პრეცედენტულია ამ კუთხით.

ამ და დიდი ბრიტანეთი ორივე უთითებდა ადამიანის უფლებების დარღვევასა და სერბეთთან მოლაპარაკებების ამოწურვაზე.³⁹ ეს მიანიშნებს აღნიშნული პრინციპის პრაქტიკაში გამოყენებაზე, მაგრამ ეს ერთადერთი მაგალითია და ასეთი პრაქტიკა ამ ეტაპზე არ არსებობს.

ასეთ მოვლენებზე საუბარი, ამ კუთხით პარალელების გავლება აფხაზეთთან, შეუძლებელია. აფხაზების დევნის კონკრეტული ფაქტების შესახებ არცერთი საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია ინფორმირებული არ ყოფილა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი ფაქტები ბუნებაში არ არსებობდა. ამასთან, მოლაპარაკებისათვის მზადყოფნა ყოვეთვის გამოთქმული იყო და გამოთქმულია საქართველოს მხრიდან, იგივე მათთვის ფართო ავტონომიის შეთავაზების კუთხით. აფხაზებს ადგილზე ყველა სამთავრობო სტრუქტურაში ადგილების უმრავლესობა ჰქონდათ, აფხაზური ენა დაცული იყო იმ პირობებში, როდესაც აფხაზეთში ქართული ენის გამოყენება იკრძალებოდა და ამჟამადაც აფხაზეთში ქართულთან ერთად აფხაზური სახელმწიფო ენადაც კი არის აღიარებული საქართველოს კონსტიტუციით.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს კოსოვოს საკონსულტაციო დაკვანის მიღებისას ჰქონდა შესაძლებ-

36 Canada Supreme Court Judgment, Reference re Secession of Quebec, Case no 25506, 20/08/1998, პ. 134. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://scc-csc.lexum.com/scc-csc/scc-csc/en/item/1643/index.do>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

37 ICJ Unilateral declaration of independence in respect of Kosovo: Advisory Opinion, 22/07/2010, General List No. 141. Separate Opinion of Judge Yusuf. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.icj-cij.org/sites/default/files/case-related/141/141-20100722-ADV-01-09-EN.pdf>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

38 ECtHR, Grand Chamber Judgement, Loizidou v. Turkey, 25/03/1995, Application No. 15318/89, concurring opinion of judge Wildhaber, joined by judge Rysdal. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://hudoc.echr.coe.int/app/conversion/pdf/?library=ECHR&id=001-58007&filename=001-58007.pdf>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

39 Orakhelashvili, A., 2008. Statehood, recognition and the United Nations system: a unilateral declaration of independence in Kosovo. 12 MAX PLANCK YB UN LAW1, გვ. 15-16. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.mpil.de/files/pdf2/mpunyb_01_orakhel_12.pdf> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

ლობა განემარტა და სიცხადე შეეტანა საერთაშორისო სამართალში რემედიულ სეცესიასა და თვითგამორკვევასთან მიმართებით სწორ პოზიციასთან დაკავშირებით, მაგრამ პირიქით მოხდა, ხსენებული დოქტრინა უფრო ბუნდოვანი გახდა. კოსოვო იდეალური მაგალითი იყო აღნიშნულ კონტექსტში რემედიული სეცესიისათვის, ამ დოქტრინის დასამკვიდრებლად, აკმაყოფილებს მონტევიდეოს 1933 წლის კონვენციის კრიტერიუმებს კოსოვოელი ალბანელების მუდმივი მოსახლეობის ყოლით,⁴⁰ ადმინისტრაციული ერთეულია სერბეთის ფარგლებში, კონკრეტულად 1999 წელს გაეროს სამართავად გადაცემის შემდეგ.⁴¹ გარდა ამისა, ყოფილი იუგოსლავიის დაშლას თან სდევდა ფართოდ გავრცელებული ეთნიკური წმენდა კოსოვოელი ალბანელებისა ახლანდელი სერბეთის სახელმწიფოს მხრიდან.⁴²

კოსოვოს საქმეზე 14 სახელმწიფო ემხრობოდა რემედიული სეცესიის უფლების არსებობას, 14 უარყოფდა ამგვარ უფლებას, ხოლო 25 სახელმწიფოს ნეიტრალური პოზიცია ჰქონდა ამ საკითხზე. სასამართლომ კი გადაწყვიტა, რომ არ განეხილა ეს საკითხი და მიუთითა, რომ ამ საქმეში ამ საკითხის გადაწყვეტის საჭიროება არ არსებობდა და ფოკუსირდა მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადების ლეგალურობის გარკვევაზე.⁴³ ორმა

მოსამართლემ განსხვავებულ მოსაზრებაში იმსჯელა რემედიული სეცესიის საკითხზე და მიუთითა, რომ რემედიული სეცესია შესაძლოა, არსებობდეს და მისი საბოლოოდ გაურკვევლობით ამ საკითხს ნათელი ვერ მოეფინა.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ხსენებული პრინციპის გარკვევა აუცილებელია იმის დასადგენად, ეს პრინციპი საბოლოოდ დამკვიდრდება თუ არა საერთაშორისო სამართალში. არსებული გაურკვევლობა სახელმწიფოებისაგან მხოლოდ პოლიტიკური მდგენელებით ხელმძღვანელობას იწვევს აღიარების საკითხისას და აბრკოლებს საკითხის სამართლებრივი მხარის განვითარებას. ამას ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ მხოლოდ კოსოვოა ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო აღიარება რემედიული სეცესიის პრინციპს ეფუძნება.

საქართველოს შემთხვევასთან კოსოვოს პრეცედენტის მიმართება

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში სეცესიის უფლება არ არსებობს. აფხაზებსა და ოსებს არ აქვთ სეცესიის უფლება.⁴⁴ ამ საკითხზე საერთა-

40 Jaber, T., 2011. A Case for Kosovo? Self-determination and Secession in the 21 st Century. The International Journal of Human Rights 15, 6. გვ. 931.

41 Security Council Resolution #1244 on the Situation Relating to Kosovo. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://peacemaker.un.org/kosovo-resolution1244>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

42 Crawford, J., 2006. The Creation of States in International Law (OUP). გვ. 419.

43 ICJ Advisory Opinion, Accordance with International Law of the Unilateral Declaration of Independence by the Provisional Institutions of Self-Government of Kosovo, 22/07/2010, General List No. 141, პ. 83. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.icj-cij.org/public/files/case-related/141/141-20100722-ADV-01-00-EN.pdf>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

44 Nussberger, A., 2009. The War between Russia and Georgia – Consequences and Unresolved Questions. Göttingen Journal of International Law, გვ. 363. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://d-nb.info/996096442/34>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

შორისო სამართლის სპეციალისტებს შორის არსებობს კონსენსუსი.⁴⁵ დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრები ჯგუფებისათვის თვითგამორკვევის სეცესიის ფორმით რეალიზაცია მხარდაჭერილი არაა.⁴⁶ ხალხად მიჩნევის შემთხვევაშიც არ არის დაკმაყოფილებული პირობები და საერთაშორისო სამართალი ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს.⁴⁷

საგულისხმოა, რომ ევროსაბჭომ, ევროკავშირმა, ასევე ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ არაერთხელ გამოხატეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერა. საკმარისია გავიხსენოთ იმავე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1647 (2009) და 1647 (2009) რეზოლუციები, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის 382 (2010) რეზოლუცია⁴⁸ აფხაზების მიერ ქართველების ეთნიკური წმენდის შესახებ, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის 2023 წლის 22 მაისის 481 დეკლარაცია აფხაზეთისა და ცხინვალის რე-

გიონის განგრძობადი ოკუპაციის დაგმობის შესახებ.⁴⁹

საერთაშორისო საზოგადოება განსაკუთრებით სკეპტიკურია სეცესიის მიმართ და ჩამოაყალიბა სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც გამოყოფას არ უჭერს მხარს. კოსოვოს შემთხვევა გამონაკლისია საერთაშორისო პოლიტიკაში.⁵⁰

კოსოვოს შემთხვევა, როგორც *sui generis*, სრულიად უნიკალურია ამ კონტექსტში. კოსოვო საერთაშორისო თანამეგობრობის გარკვეული ნაწილის მიერაა აღიარებული და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის ელემენტი ამ შემთხვევაში რაღაც კუთხით დაკმაყოფილებულია.

ამასთან, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ კოსოვოს აღიარება არ მომხდარა ევროკავშირის 5 სახელმწიფოს მიერ, მიუხედავად ევროკავშირის სახელმწიფოების დადებითი დამოკიდებულებისა კოსოვოს მიმართ, როდესაც კოსოვო ევროკავშირის პოტენციურ კანდი-

45 Burri, Th., 2014. 'Secession in the CIS – Causes, Consequences, and Emerging Principles' in Christian Walter and others (eds), *Self-Determination and Secession in International Law*. Oxford University Press, გვ. 141.

46 Pazartzis, P., 2006. *Secession and International Law in the European Dimension* in Marcelo G. Kohen (ed), *Secession – International Law Perspectives*. Cambridge University Press, გვ. 361.

47 Erkvania, T., 2021. Constitutional Framework of the Conflict Regions in Georgia and the Latest Attempts for their Regulation, *Journal of Politics and Democratization*, გვ. 26. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://jpd.gipa.ge/index.php/jpd/article/view/6352/6361>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

48 Pace Res1647 (2009) [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://pace.coe.int/en/files/17736/html>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023]; Pace Res 1647 (2009). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://pace.coe.int/en/files/17708>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023]; Nato resolution 382 (2010) [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://web.archive.org/web/20150402131545/http://www.nato-pa.int/default.asp?SHORT-CUT=2245>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

49 Nato resolution. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.nato-pa.int/download-file?filename=/sites/default/files/2023-05/DECLARATION%20481%20-%20VILNI-US%20SUMMIT.pdf>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

50 Borgan, Ch., 2009. *The Language of Law and the Practice of Politics: Great Powers and the Rhetoric of Self-Determination in the Cases of Kosovo and the Rhetoric of Self-Determination in the Cases of Kosovo and South Ossetia*. Chicago Journal of International Law, გვ. 27. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://chicagounbound.uchicago.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1298&context=cjil>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

დატად განიხილება და ევროკავშირიც ვერ უკლის გვერდს კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით სერბეთთან მოლაპარაკების გაგრძელების საჭიროებას. მართალია, საერთაშორისო სამართალში არსებობს შეხედულება, რომ სახელმწიფო ფაქტის საკითხია და ამას აქვს საფუძველიც, მაგრამ საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოების წარმოქმნის პროცესისაგან განყენებული არ არის და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სრულფასოვანი ჩართვა კონსენსუსის გარეშე ხშირ შემთხვევაში მეტად რთულდება კიდევ. საკმარისია შევნიშნოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ კოსოვოს გაეროს წევრობაზე ამ შემთხვევაში საუბარი არ არის, როდესაც გადაწყვეტელია სერბეთისაგან მისი აღიარების საკითხი.

აფხაზეთის შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც 2008 წელს აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, რასაც შემდეგ თან სდევდა მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს მხრიდან აღიარება, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან აღიარება არ მოჰყოლია. რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის აღიარება მოხდა იმ ვითარებაში, როდესაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა და ეწინააღმდეგება კოსოვოს აღიარებას.

კოსოვოსა და აფხაზეთის შემთხვევებს შორის გარკვეული მსგავსებაც არსებობს, მაგრამ განსხვავება იმდენად დიდია, რომ ამ შემთხვევებს ერთმანეთისაგან რადიკალურად ასხვავებს. რეალურად კოსოვოსა და აფხაზეთის შემთხვევებს შორის ძირეული განსხვავება არსებობს.

საქართველომ 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა აფხაზეთთან ერთად. საქართველოს სრულ ტერიტორიაზე, აფხაზეთის ჩათვლით, ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.⁵¹

სეცესიისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობა წარმომადგენლობის არარსებობაა. 1990-იან წლებში კი აფხაზები, რომლებიც აფხაზეთის საერთო მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენ, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში უმრავლესობით იყვნენ წარმოდგენილები. კოსოვოში კი გაუქმებული იქნა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანო და იქ პირდაპირი მმართველობა იქნა დაწესებული. ცალსახაა, რომ აფხაზეთის შემთხვევაში პოლიტიკური რეპრეზენტაციის დაუცველობაზე საუბარიც კი ზედმეტია. კოსოვოში ეთნიკური აღბანელების „წმენდა“ მოხდა, ხოლო აფხაზეთში – პირიქით, ეთნიკური ნიშნით საქართველოს სხვა მოქალაქეები იქნენ გამოძევებულები თავიანთი სახლებიდან. ეს გამოავლინა ეუთოს მისიამაც და არაერთხელ დაადასტურა, რომ უდაზნაშულო მოსახლეობა თავიანთი მუდმი-

51 მუხლი 2(1), საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [წვდომის თარიღი 18 ნოემბერი 2023].

ვი საცხოვრებელიდან არის განდევნილი.⁵²

აფხაზების სწრაფვა გამოყოფისაკენ ცხადი იყო შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებამდე. რა თქმა უნდა, პროცესს აღვივებდა რუსული მხარე. აქედან გამომდინარე, გამოყოფას ნამდვილად არ უძღოდა წინ გამოყოფის სურვილის მქონე ხალხის თვითგამორკვევის უფლების დარღვევა.

აფხაზების მხრიდან მოხდა ეთნიკური წმენდა, ქართველების გაძევება და ამ პირობებში თვითგამორკვევის საკითხზე აფხაზეთში ნებისმიერი ფორმით რეფერენდუმის ჩატარება უსაფუძვლოა.

განსხვავებით კოსოვოსაგან, სადაც მოლაპარაკებებსა და იგივე ფართო ავტონომიას არც ერთი მხარე არ ეთანხმებოდა, მოლაპარაკებებისათვის მზადყოფნისა და ფართო ავტონომიის შეთავაზება საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან დამატებით არაღეგითიმურს ხდის აფხაზეთის პრეტენზიებსა და დამოუკიდებლობის აღიარების სურვილს. საქართველოსაგან მრავალჯერაა გამოხატული ფართო ავტონომიის მინიჭებისათვის მზადყოფნა, კონფლიქტის მშვიდობიანი, დიპლომატიური გზებით მოგვარების მცდელობა.

არ არსებობს ფაქტები, რომ საქართველოს ცენტრალური მთავრობა აფხაზეთში ან ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებათა სისტემატურ და მასობრივ დარღვევებს მიმართავდა. არ არსებობს აფხაზებისა და „სამხრეთ ოსეთის ოლქი,“ საიდანაც ასევე მოახდინეს ქართველი მოსახლეობის იძულებითი განდევნა როგორც 2008 წლის აგვისტოს ომამდე⁵³, ისე შემდეგაც,⁵⁴ მაცხოვრებელთა მიერ გარე თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის საფუძველი. აფხაზებს თუ თვითგამორკვევის უფლების მქონე ხალხად მივიჩნევთ, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, მხოლოდ თვითგამორკვევის შინა ასპექტზე იქნება საუბარი შესაძლებელი.

ქართველების ძალადობრივი ეთნიკური წმენდის ფაქტები გადმოცემულია Human Rights Watch-ის მოხსენებაში.⁵⁵

